

კონკურსანტი გუნდის სახელი და მისი წევრების სახელები, გვარები და ასაკი	კონკურსანტი გუნდის სახელი-“ფინანსური გონიერება - ინვესტიცია ჩემი მომავლისთვის” კონკურსანტი გუნდის წევრები: 1. ელენე დობტურიშვილი - 16 წლის 2. ქეთო სანდოძე - 16 წლის 3. თეკლა სანდოძე-18 წლის 4. სეიფულ ორუჯოვი-21 წლის
გუნდის მენტორის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი	გუნდის მენტორი- ქიმიის პედაგოგი- ნინო სამხარაული .
სემინტი, რომლისთვისაც განკუთვნილია პროექტი (მოსწავლე, სტუდენტი ან ორივე)	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის მოსწავლეები (მე-10, მე-11 და მე-12 კლასები)
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და განაწილება (რა თანხა რა მიზნობრიობით დაიხარჯება)	პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და ხარჯების განაწილება: 1. სასწავლო მასალები და რესურსები (პლაკატები, ფლიპჩარტები, სტიკერები, ფერადი ფურცლები, მარკერები, ბარათები, საკანცელარიო ნივთები აქტივობებისთვის)-300ლარი. 2. დამხმარე ვიზუალური და ციფრული რესურსები (პრეზენტაციები, ვიდეო-რესურსები, ონლაინ პლატფორმებზე გამოწერები/ლიცენზიები (საჭიროების შემთხვევაში)- 150ლარი. 3. სათამაშო და სიმულაციური რესურსები (ბიუჯეტის თამაშები, ფინანსური ბარათები (იმიტირებული), სიმულაციური ფული, სათამაშო ფურცლები, სერტიფიკატები და პრიზები -მცირე კონკურსებისთვის)- 250 ლარი 4. სესიების ორგანიზება (სპეციალური სესიების ჩატარება (გარედან მოწვეული სტუმარი/ექსპერტი, საკომუნიკაციო ხარჯები)- 150 ლარი 5. შემაჯამებელი ღონისძიება/შეჯამება (მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაციისთვის საჭირო სივრცის მოწყობა, დიზაინ-გაფორმება, პრეზენტაციის მასალები)-150ლარი 6. ტექნიკური მხარდაჭერა (კომპიუტერული ტექნიკის, პროექტორის, ბეჭდვისა და ფოტო/ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში)- 100ლარი

	7. დამხმარე პერსონალის ხარჯები (ორგანიზაციული მხარდაჭერა, ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება/მოტივაცია)- 250ლარი 8. უსაფრთხოებისა და დაცვის ხარჯები (აქტივობების ჩატარებისას საჭირო სანიტარული და უსაფრთხოების მინიმალური რესურსები)- 100ლარი ჯამში ბიუჯეტი: 1450ლარი. ბიუჯეტის ეს განაწილება ითვალისწინებს: • პროექტის მრავალფეროვან თემატიკას. • სწავლებას- მრავალფეროვანი თამაშის ელემენტებით. • მოსწავლეთა მოტივაციისთვის პრიზებსა და ვიზუალურ რესურსებს. • ორგანიზაციული და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფას.
პროექტის განხორციელების ეტაპები (მოსამზადებელი, აქტივობის განხორციელების და/ან აქტივობის შემდგომი) თითოეული მათგანის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით	I. მოსამზადებელი ეტაპი. (მიზანი: პროექტისთვის საჭირო სივრცის, მასალებისა და ტექნიკის მომზადება, სკოლის დირექციისა და მოსწავლეების ინფორმირება). სავარაუდო ხანგრძლივობა: 1-2 დღე. II. აქტივობის განხორციელების ეტაპი. (მიზანი: პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება და მოსწავლეთა ჩართვა აქტივობებში). სავარაუდო ხანგრძლივობა: 10 დღე (სავარაუდოდ 10 სესია, თითოეული 45-60 წთ) III. აქტივობის შემდგომი ეტაპი. (მიზანი: მიღებული ცოდნის შემოწმება, შედეგების შეფასება და მიღებული ცოდნის შემდგომი გამოყენების უზრუნველყოფა) სავარაუდო ხანგრძლივობა: 1-2 სესია (45-60 წთ თითოეული) ან 1 დღე-ერთიანი შეჯამებისთვის. შენიშვნა. • პროექტის სრული ხანგრძლივობა-მოსამზადებელი, განხორციელებისა და შემდგომი ეტაპების ჩათვლით - 12-15 დღე/სესია, საჭიროების მიხედვით.

	• თითოეული ეტაპი მოიცავს როგორც სკოლის რესურსების გამოყენებას, ასევე, დამხმარე ტექნიკას (ლექტორი, პროექტორი, პრინტერი, ინტერნეტი).
პროექტის ფარგლებში გამოყენებული აქტივობა/აქტივობები (ჩამონათვალი და მოკლე აღწერა)	I. <u>მოსამზადებელი ეტაპი.</u> (მიზანი: პროექტისთვის საჭირო სივრცის, მასალებისა და ტექნიკის მომზადება, სკოლის დირექციისა და მოსწავლეების ინფორმირება) აქტივობები: • თითოეული აქტივობის მასალების (სამუშაო ფურცლები, მარკერები, კალმები, ფლიბჩარტები, მაგნიტური სამაგრები, სტიკერები, პრინტერი და სხვა) მომზადება. • გამოყენებული ტექნიკის (პროექტორი, ლექტორები, ინტერნეტი) გამართულობის შემოწმება. • კლასის განლაგებისა და ჯგუფური სამუშაოსთვის სივრცის მოწყობა. • მოსწავლეების წინასწარი ინფორმირება პროექტის მიზნებისა და წესების შესახებ. II. <u>აქტივობის განხორციელების ეტაპი.</u> (მიზანი: პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება და მოსწავლეთა ჩართვა აქტივობებში) <u>პროექტის ფარგლებში განხილული სესიების თემები და გამოყენებული აქტივობები:</u> 1. პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა. 1.1. აქტივობა: “ფულის გზა” 1.2. აქტივობა: “ბიუჯეტის რეჟისორი” 1.3. აქტივობა: “სურვილები და საჭიროებები” 2. ფული და გადახდები 2.1. აქტივობა: “საფასურის გადახდის ისტორია” 2.2. აქტივობა: “გადახდის გზების რუკა” 2.3. აქტივობა: “თამაში სუპერმარკეტში-იყიდე გონივრულად”

3. დანაზოგი და ინვესტიციები.
 - 3.1. აქტივობა: “სურვილების ყუთი და დანაზოგი”
 - 3.2. აქტივობა: “ინვესტიცია ფაბრიკაში”
 - 3.3. აქტივობა: “დანაზოგის ხე”
4. დაზღვევის საკითხები
 - 4.1. აქტივობა: “რისკების ქალაქი”
 - 4.2. აქტივობა: “დაზღვევის დეტექტივები”
5. მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები.
 - 5.1. აქტივობა: “მომხმარებელთა სასამართლო”
 - 5.2. აქტივობა: “ვინ არის პასუხისმგებელი?!”
6. გონივრული სესხება და სესხის მართვა.
 - 6.1. აქტივობა: “მეგობრების ბანკი”
 - 6.2. აქტივობა: “პროცენტის ძალა”
 - 6.3. აქტივობა: “სესხის ბედი”
7. ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პირობების ერთმანეთთან შედარება.
 - 7.1. აქტივობა: “ფინანსური პროდუქტების გამოფენა”
 - 7.2. აქტივობა: “ვინ უფრო გონივრულად აირჩია?”
 - 7.3. აქტივობა: “ფინანსური დეტექტივები”
8. ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები
 - 8.1. აქტივობა: “ბანკების ბაზარი- ვირტუალური გამოფენა”
 - 8.2. აქტივობა: “ფინანსური პროდუქტების აუქციონი”.
9. ფინანსური უსაფრთხოება და ფინანსური რისკები.

9.1. აქტივობა: “უსაფრთხო პაროლის მრჩეველი”

9.2. აქტივობა: “ფიშინგი თუ ნამდვილი?!”

9.3. აქტივობა: “რისკების ბარათები”.

10. ფინანსური თაღლითობისაგან თავის დაცვის საშუალებები.

10.1. აქტივობა: “თაღლითობის მახე”

10.2. აქტივობა: „ფინანსური Sherlock-ები“

10.3. აქტივობა: “Stop-თაღლითობა!” (ვიდეო კამპანია).

- აქტივობები მოიცავს სიმულაციურ დავალებებს, როლურ თამაშებს, ჯგუფურ/ინდივიდუალურ სამუშაოებს, პრეზენტაციებს, ვიზუალური მასალების და ონლაინ რესურსების გამოყენებას.

III. აქტივობის შემდგომი ეტაპი. (მიზანი: მიღებული ცოდნის შემოწმება, შედეგების შეფასება და მიღებული ცოდნის შემდგომი გამოყენების უზრუნველყოფა).

აქტივობები:

- მოსწავლეების მიერ შექმნილი ვიზუალური მასალების (პოსტერები, პრეზენტაციები, რესურსები) გამოფენა სასკოლო სივრცეში მეტი თვალსაჩინოებისა და სხვა მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით).
- შეჯამება/რეფლექსიის მიზნით “**ფინანსური ბაზრობის მოწყობა**”. (მასწავლებელი პროექტის დასასრულის აღსანიშნავად მოიწვევს სასკოლო საზოგადოებას კლასში. სტუმრებისთვის მოსწავლეები მოემზადებიან შემდეგნაირად: მასწავლებელი კლასს დაყოფს მცირე ჯგუფებად (ჯგუფში 3-4 მოსწავლე). ყველა ჯგუფი კლასში მოაწყობს თავის “**ფინანსურ სივრცეს**”, სადაც წარმოადგენენ ერთ რომელიმე სასურველ თემას პროექტიდან (მაგ: დანაზოგი/დაზღვევა/თაღლითობა). თითოეული ჯგუფი მოამზადებს მინიპოსტერებს, მაკეტებს, განმარტებებს და სახალისო კითხვებს სტუმრებისთვის; ფინანსურ თამაშს, მინი-ქვიზს; ერთ პატარა “პროდუქტს”; რჩევას, რომელსაც გაატანენ სტუმრებს. (მაგ: ფულის დაზოგვის მინი წესები, “ფიშინგის” ამომცნობი მინი წესები დაბეჭდილი ფერად ბარათებზე და სხვ).

	• მოსწავლეების ცოდნის დონის შემოწმება პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ მიზნობრივად შედგენილი ტესტების დახმარებით (მიღებული შედეგების ანალიზით გავარკვევთ, რა იცოდნენ მოსწავლეებმა პროექტის დასაწყისში და რა ცოდნა მისცა პროექტმა). • მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება (პროექტის მიმდინარეობისას შესაძლებელია მოსწავლეებს პერიოდულად ჩაუტარდეთ მინი ტესტირება თემატური ქვიზების გამოყენებით, რაც საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ, რამდენმა მოსწავლემ როგორ გაიგო ესა თუ ის საკითხი). • ქულებზე დაფუძნებულ დავალებებში/თამაშებში მიღებული შედეგების ანალიზი.(აღნიშნული დაგვეხმარება გავიგოთ მოცემული კონკრეტული საკითხი მოსწავლეებისთვის რამდენად გასაგები აღმოჩნდა). • მოსწავლეთა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფურად შექმნილი პროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის ანალიზი. • პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა (მაგ: მოსწავლეთა გამოხმაურებები პროექტის შესახებ. მასწავლებელთა და მშობელთა უკუკავშირები მოსწავლეთა ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილებების შესახებ. მოსწავლეთა სურვილი პროექტის დასრულების შემდეგაც გააგრძელონ ფინანსური განათლების სესიებში მონაწილეობა და სხვ). • შემდგომი პრაქტიკული აქტივობების გეგმების შემუშავება.
პროექტის სამიზნე აუდიტორიის ოპტიმალური ზომა (აქტივობაზე დამსწრეთა რაოდენობა)	პროექტში აქტივობებზე დამსწრეთა რაოდენობა- საშუალო საფეხურის 25-30 მოსწავლე.
პროექტის განხორციელებაში ჩართული ადამიანების რაოდენობა და ყველა მათგანის როლი	1. პროექტის ხელმძღვანელი/კოორდინატორი- 1 ადამიანი.(ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია პროექტის მთლიან მართვასა და მონიტორინგზე, რომელიც ასევე, უზრუნველყოფს რესურსების განაწილებას,საჭირო ტექნიკისა და მასალების მომზადებას).

	2. მასწავლებლები/ტრენერები- 1-2 ადამიანი (მასწავლებლები/ტრენერები ჩართულნი არიან და ფასილიტაციას უწევენ თითოეული აქტივობის განხორციელებას. უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მართავენ დისკუსიებს და პასუხობენ კითხვებს.ასევე, ისინი აყალიბებენ შეფასების კრიტერიუმებს აქტივობების მიხედვით). 3. მოსწავლეები- თითოეულ სესიაზე 25-30 მოსწავლე. (მოსწავლეები მონაწილეობენ აქტივობებში, ჯგუფურ სამუშაოებში, დისკუსიებში, სიმულაციურ/როლურ თამაშებსა და პრეზენტაციების შექმნაში. აქტივობების მიხედვით ქმნიან ვიზუალურ მასალებს და ახდენენ მათ ვიზუალიზაციას/პრეზენტაციას. 4. დამხმარე პერსონალი/ტექნიკური მხარდაჭერა- 1-2 ადამიანი საჭიროების მიხედვით. (დამხმარე პერსონალი ახორციელებს ლეპტოპების, პროექტორის, პრინტერის და სხვა ტექნიკური მოწყობილობების მომზადება/შემოწმებას. აკონტროლებს ინტერნეტთან წვდომას და პროგრამულ უზრუნველყოფას). <i>ჯამში პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩართული პირები: 4-5 პირი. (მასწავლებლები + კოორდინატორი + ტექნიკური მხარდაჭერა. თითოეული პირი პასუხისმგებელია კონკრეტულ საქმიანობაზე, რაც უზრუნველყოფს აქტივობების ეფექტურ და ორგანიზებულ განხორციელებას.</i>
პროექტის შინაარსისა და მიმდინარეობის დეტალური აღწერა, მათ შორის, პროექტის მიმდინარეობა, აქტივობ(ებ)ის დეტალური შინაარსი, გამოყენებული მასალები, სივრცის მოწყობის ნიუანსები, გამოყენებული ტექნიკური ხელსაწყოები (მაგ. პროექტორი, ლეპტოპი), დამხმარე მასალა და ა.შ.	პროექტი მოიცავს ძირითად 10 საგაკვეთილო სესიას, თითოეული სესიის ხანგრძლივობა 45-60 წთ. შეხვედრა/სესიების ჩატარდება შესაძლებელია კვირაში 1-2 ჯერ (მოსწავლეთა ინტერესების/სკოლის სურვილის შესაბამისად). თითოეული სესია მოიცავს: ✓ მასწავლებლის/ტრენერის თემატურ მინილექციას/დისკუსიას (10-15 წთ); ✓ მიზნობრივად შერჩეულ თემატურ აქტივობას/სიმულაციას/პრაქტიკულ დავალებას (30-40წთ); ✓ შეხვედრის შეჯამება/რეფლექსიას(10-15 წთ) ✓ გამოყენებული მიდგომები და მეთოდები: პრობლემაზე, კვლევაზე, პროექტზე დაფუძნებული მიდგომები და მეთოდები.როლური თამაშები,სიმულაციები, დებატები, შემოქმედებითი, აქტიური და სოცოიკულტურული სწავლების მიდგომები.დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტირება. ორგანიზების ფორმები: მთელი კლასი, ინდივიდუალური, წყვილები,მცირე ჯგუფი.

I სესიის თემა: პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა.

N1 აქტივობა. „ფულის გზა“. აქტივობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებმა გააცნობიერონ საიდან მოდის მათი შემოსავალი (მაგ: ჯიბის ფული, საჩუქარი, სტიპენდია და სხვ) და როგორ ნაწილდება ის ხარჯებად.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მინი ლექციის შემდეგ მოსწავლეებს უზიარებს წინასწარ გამზადებულ სქემას, სახელწოდებით: **„ფულის გზა“**. (შემოსავალი → დანახოვები → აუცილებელი ხარჯი → სურვილები). მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, იღებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებულ ფურცლებს, რომელზეც დაბეჭდილია „შემოსავალი“ (მაგ, 25ლარი) და თავად წყვეტენ როგორ გაანაწილონ იგი. ისინი ხატავენ ბიუჯეტის „მარშრუტს“. რაში დახარჯეს, რამდენი შეინახეს და რამდენი დაიტოვეს პირადი სურვილებისთვის. დავალების შესრულების შემდეგ ხდება ჯგუფური განხილვა: ვინ უფრო გონივრულად გადაანაწილა თანხა და რატომ.

ხანგრძლივობა: 30 წთ.

ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური განხილვა.

დამხმარე რესურსი: ფერადი ფურცლები, სამუშაო ფურცლები, დაფა, ცარცი, კალმები, მარკერები, ფანქრები, სქემის: **„ფულის გზა“** გასაკეთებლად მუყაოს სქელი ფურცლები/ლეპტოპი, პროექტორი.

N2 აქტივობა. „ბიუჯეტის რეჟისორი“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ, როგორ დაგეგმონ ერთი თვის პირადი ბიუჯეტი რეალურ სიტუაციებზე დაყრდნობით.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს ჰყოფს მცირე ჯგუფებად (ჯგუფში 3-4 ან 4-5 მოსწავლე). თითოეულ ჯგუფს ეძლევა **„როლური სცენარი“** (მაგ: სტუდენტი, რომელსაც აქვს სტიპენდია; მრავალშვილიანი ოჯახი; მოსწავლე, რომელსაც აძლევენ ჯიბის ფულს და სხვ). თითოეული ჯგუფი თავის სცენარზე ადგენს **„ფინანსურ სცენარს“**. წერს შემოსავალს და ხარჯებს (საკვები, წიგნები, გართობა, ტრანსპორტი და სხვ). ჯგუფები ამზადებენ ბიუჯეტის ცხრილს მოკლე პრეზენტაციის სახით- როგორი იქნება მათი დავალების „სიუჟეტი“. როგორ გაუმკლავდნენ ერთი თვის ხარჯებს და სურვილებს. ბოლოს ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს და ერთმანეთს აძლევენ რჩევებს.

ხანგრძლივობა: 30 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური მუშაობა; პრეზენტაცია.

დამხმარე რესურსი: სამუშაო ფურცლები, კალმები, მარკერები, წინასწარ გამზადებული **„როლური სცენარის“** ბარათები.

N3 აქტივობა: „სურვილები და საჭიროებები“ (სარეზერვო აქტივობა, სურვილის მიხედვით).
 აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა განასხვაონ, რა არის რეალურად საჭირო და რა არის მხოლოდ სურვილი.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მინი პრეზენტაციას. პროექტორის გამოყენებით მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა სურათს (მაგ: ლეპტოპი, ტკბილეული, სასკოლო ჩანთა, კინოს/თეატრის ბილეთი და სხვ). მოსწავლეებმა ჯგუფურად უნდა განიხილონ პროექტორით ნაჩვენები თითოეული სურათი და განსაზღვრონ საჭიროება თუ სურვილი. დააჯგუფონ ისინი ცალ-ცალკე. შემდეგ თითოეული ჯგუფი შეეცდება დაასაბუთოს თავისი არჩევანი და „დაიცვას“ საკუთარი გადაწყვეტილება. აქტივობის დასასრულს მთელი კლასი აყალიბებს და აკეთებს საერთო სიას-რა უნდა მოხდეს ბიუჯეტის აუცილებელ ნაწილში(რა არის საჭიროება) და რომელია სურვილი, რომელიც შეიძლება რომ გადაიდოს სამომავლოდ.

ხანგრძლივობა: 20-25 წთ.

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური მუშაობა, დებატები-მთელ კლასთან.

დამხმარე რესურსი: ლეპტოპი, პროექტორი, სამუშაო ფურცლები, მარკერები, კალმები.

II სესიის თემა: ფული და გადახდები.

N1 აქტივობა: მინი ლექცია- „საფასურის გადახდის ისტორია“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა შეისწავლონ როგორ განვითარდა საფასურის გადახდის მეთოდები ისტორიულად და როგორ იცვლება ისინი დღემდე.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს სთავაზობს მინი ლექციას, თემაზე: „საფასურის გადახდის ისტორია“. სადაც გააცნობს მასალას-როგორ განვითარდა ფულის გადახდის მეთოდები ისტორიულად (ბარტერი, მონეტა, ქალაქის ფული, საბანკო ბარათები, ელექტრონული გადახდები) და როგორ იცვლება ისინი დღემდე. მინი ლექციის ბოლოს მასწავლებელი დაფაზე ქმნის „დროის ხაზს“ პატარა ფერადი ქაღალდებითა და წებოვანი ლენტის გამოყენებით, რომელზეც ამაგრებს ყველა ეტაპს. (ახალი მასალის გასაცნობად და მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია პედაგოგმა გამოიყენოს როგორც მატერიალური რესურსები, ისე წინასწარ მომზადებული ციფრული პრეზენტაცია „ფულის გადახდის ისტორიის“ შესახებ).

ხანგრძლივობა: 10-15 წთ.

ორგანიზების ფორმა: კვლევა-მთელ კლასთან, შემოქმედებითი პრეზენტაცია.

დამხმარე რესურსი: პროექტორი, ლეპტოპი, ისტორიული მასალა/სურათები, მატერიალური რესურსების სახით- დაფა, ძველი მონეტები და ძველი ქაღალდის ფული, საბანკო ბარათები, ენციკლოპედია-ფულის ისტორიის შესახებ, ფერადი ქაღალდები, მაგნიტური სამაგრები, წებოვანი ლენტი- „დროის ხაზის“ გასაკეთებლად.

N2 აქტივობა. „გადახდის გზების რუკა“. აქტივობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებმა გაიაზრონ როგორ ხდება ფულის გამოყენება სხვადასხვა გადახდის საშუალებით (მაგ: ნაღდი ფული, საბანკო ბარათი, მობილური გადახდა, ონლაინ გადახდა), შემდეგ კი შეძლონ შედარება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ფერადი ქაღალდების გამოყენებით წინასწარ ამზადებს სხვადასხვა „გადახდის ბარათებს“. (ნაღდი ფული, საბანკო ბარათი, QR-გადახდა, ონლაინ გადახდა და სხვ). კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად (ჯგუფში 3-4 ან 4-5 მოსწავლე), ურიგებს დამზადებულ „გადახდის ბარათებს“. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და ქმნიან „გადახდის გზების რუკას“. კერძოდ, მსჯელობენ როდის, სად და როგორ არის უკეთესი თითოეული გადახდის ტიპის გამოყენება. აქტივობის დასასრულს ტარდება დისკუსია, „რომელი გადახდის მეთოდია ყველაზე უსაფრთხო? ყველაზე მოსახერხებელი? ყველაზე მომგებიანი?“, რატომ?

ხანგრძლივობა: 20-25 წთ.

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური, შემდგომში ჯგუფური პრეზენტაცია.

დამხმარე მასალა: ფერადი ქაღალდები, მარკერები, სტიკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები ყველა ჯგუფისთვის „გადახდის რუკის“ შესაქმნელად.

N3 აქტივობა. „თამაში სუპერმარკეტში-იყიდე გონივრულად“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა პრაქტიკულად გაიაზრონ ფულის მართვისა და გადახდის პროცესები სხვადასხვა სიტუაციაში.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასის გამოყოფილ სივრცეში აწყობს „მინი- სუპერმარკეტს“. მაგიდაზე ალაგებს ყოველდღიურად გამოსაყენებელ ე.წ. „გასაყიდ“ ნივთებს (მაგ: ასანთი, ნათურა, კბილის ჯაგრისი, შოკოლადი, ხილი, წყლის ბოთლი და სხვ) სადაც ყველა გასაყიდ ნივთს აწერია ფასი. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა განსხვავებული „ბიუჯეტი“ (წინასწარ გამზადებული „იმითირებული ნაღდი ფული“ ან იმითირებული „საბანკო ბარათები“). მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ საჭირო ნივთები და გადაიხადონ განსხვავებული მეთოდებით: ნაღდი ფული, საბანკო ბარათი ან QR გადახდა. პარალელურად მასწავლებელი თავის დღიურში აკეთებს ჩანიშვნებს, ვინ რამდენად სწორად იყენებს გადახდის მეთოდებს, ვის დარჩა დანაზოგი და ვის გაუჭირდა გადახდა.

ხანგრძლივობა: 30-35 წთ.

ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი, როლური თამაში.
დამხმარე რესურსი: მაგიდები- სუპერმარკეტის მოსაწყობად, გასაყიდი ნივთები და პროდუქტები, ფასების მოსამზადებლად- პატარა ბარათები, “ფულის იმიტაციისთვის”-ქაღალდის ბანკნოტები ან მონეტები (ქაღალდის ბანკნოტები შესაძლებელია მოსწავლეების მიერ იყოს დახატული და შექმნილი). ძველი, ვადაგასული პლასტიკური ბარათები, ბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკები პროდუქტების “შესაძენად”.

III სესიის თემა: დანაზოგი და ინვესტიციები.

N1 აქტივობა. “სურვილების ყუთი და დანაზოგი”. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ როგორ შეიძლება მცირე თანხის დაგროვება კონკრეტული მიზნისთვის.
აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს ურიგებს მუყაოსაგან დამზადებულ ყუთებს. თითოეული ჯგუფი მოიფიქრებს, შეთანხმდება და სურვილების ყუთს დააწერს საკუთარ სურვილს (მაგ: ახალი წიგნი, სპორტული ნივთი, ექსკურსია და სხვ). მომდევნო ეტაპზე კი ნელ-ნელა ყუთში „აგროვებენ“ ქაღალდის ფულს, რომელსაც სხვადასხვა დავალების შესრულებით იღებენ (მაგ: სწორი პასუხი, აქტიურობა).გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აკეთებს ანალიზს, ვინ რამდენი დააგროვა და რამდენად მიუახლოვდა მიზანს.
ხანგრძლივობა: 20-25 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური (შესაძლებელია ინდივიდუალურიც) და გარკვეულ ეტაპზე მუშაობა მთელ კლასთან.

საჭირო რესურსი: მუყაოს სქელი ქაღალდები ყუთების გასაკეთებლად.“ფულის იმიტაციისთვის”- ქაღალდის ბანკნოტები ან ფერადი ქაღალდები,სტიკერები.

N2 აქტივობა. “ინვესტიცია ფაბრიკაში”. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ინვესტიცია არის ფულის ჩადება, რომელსაც ყოველთვის ახლავს როგორც რისკი,ისე მოგების შანსი.გააცნობიერონ რომ გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა სიფრთხილე და გარკვეული ნიუანსების გათვალისწინება.

აქტივობის აღწერა: დანაზოგისა და ინვესტიციის საკითხებზე მინი ლექციის შემდეგ მასწავლებელი კლასს ჰყოფს ჯგუფებად, სადაც თითოეული ჯგუფი „ინვესტორია“ და აქვთ საინვესტიციოდ გარკვეული ოდენობის თანხა (მაგ: 100ლარი). მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს

„ფაბრიკის ბარათებს“ ინვესტიციის განსახორციელებლად. ყველა ბარათს აწერია ფაბრიკის სახელი (მაგ: შოკოლადის, სათამაშოების, წიგნების ფაბრიკა, ტექნოლოგიური სტარტაპი და სხვ). ინვესტორი ჯგუფები ფიქრობენ და ირჩევენ რომელ ფაბრიკაში ჩადონ ინვესტიცია. მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი შემთხვევითობის პრინციპით იღებს წინასწარ გამზადებულ ბარათებს, რომელზეც დაწერილია კონკრეტული ციფრები და „ცვლის მოვლენებს“, რომელიც განსაზღვრავს რა მოხდა ამათუიმ ფაბრიკაში. წარმატება (ინვესტორი იღებს მოგებას) თუ წარუმატებლობა (ინვესტორი კარგავს ფულს). აქტივობის ბოლოს ჯგუფები ითვლიან საბოლოო თანხას და აკეთებენ განმარტებებს: რატომ, რაზე დაყრდნობით და რა პრინციპით შეარჩიეს საინვესტიციოდ კონკრეტული ობიექტი. თითოეული „ინვესტორი“ ჯგუფი არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური, კონკურსის ელემენტებით. როლური თამაში.

საჭირო რესურსი: „ფულის იმიტაციისთვის“-ქაღალდის ბანკნოტები/ფერადი ფურცლები. მუყაოს ქაღალდები-ფაბრიკის ბარათების და შემთხვევითი შედეგების გამოსათვლელად. მარკერები, კალმები,სამუშაო ფურცლები.

N3 აქტივობა. „დანაზოგის ხე“ (სარეზერვო აქტივობა სურვილის მიხედვით). „დანაზოგის ხე“ არის აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება უკეთესად გააცნობიერონ, რომ თუ ფულს გააზრებულად დავზოგავთ,შესაძლებელია მცირე დანაზოგებით გარკვეული თანხის დაგროვება მოვახერხოთ.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ნახატს, რომელზეც იქნება გამოსახული ხე-ფესვებით,ტოტებით და ფოთლებით. აკრავს დაფაზე. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, აიღონ პატარა, ფერადი, ფოთლის ფორმის ფურცლები და ინდივიდუალურად დაწერონ: როგორ შეიძლება დაიზოგოს ფული ყოველდღიურ ცხოვრებაში (მაგ: ლიმონათის ნაცვლად დალიონ წყალი, არ იყიდონ ტკბილეული, ტაქსის ნაცვლად იმგზავრონ საზოგადოებრი ტრანსპორტით და სხვ) , ან რა მიზნისთვის დაზოგავდნენ ფულს (მაგ: წიგნი, ველოსიპედი, კინოს ბილეთი). შევსებულ ფერად ფოთლებს მოსწავლეები მიაკრავენ ხის ტოტებზე და შეიქმნება „დანაზოგის ხე“, რომელიც ნათელი მაგალითი იქნება იმისა,რომ პატარა ქმედებებსაც შეუძლიათ დიდი შედეგის მოცემა.

ხანგრძლივობა: 15-20 წთ

ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი (ყველა ერთად ქმნის დანაზოგის ხეს).

დამხმარე რესურსი: დაფა, მუყაოს სქელი ქაღალდები, ფერადი ქაღალდები ფოთლებისთვის, წებო, კალმები,მარკერები.

IV სესიის თემა: დაზღვევის საკითხები.

N1 აქტივობა. „რისკების ქალაქი“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ რა რისკები არსებობს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რატომ არის საჭირო დაზღვევა.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ მომზადებული მინი პრეზენტაციის დახმარებით მოსწავლეებს აცნობს რა არის დაზღვევა, რისთვის არის საჭირო და როგორ მუშაობს ის. შემდეგ კი მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს სთავაზობს დავალებას: შექმნან **“ქალაქის რუკა”**, სადაც წარმოადგენენ სხვადასხვა ობიექტებს (მაგ: სახლი, მანქანა, სკოლა, კლინიკა, მაღაზია). მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს გადასცემს წინასწარ გამზადებულ **“რისკების ბარათებს”**, რომელზეც დატანილია სხვადასხვა რისკები (მაგ: წყალდიდობა, ხანძარი, ავარია, ქურდობა, ავადმყოფობა და სხვ). თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ქალაქს ამათუ იმ რისკმა და როგორ შეიძლება დაზღვევამ შეამციროს მიყენებული ზარალი. აქტივობის ბოლოს ყველა ჯგუფი წარადგენს თავის “ქალაქს” და ყურადღებას გაამახვილებს სად, რა სახის დაზღვევა იყო აუცილებელი.

ხანგრძლივობა: 40-45 წთ

ორგანიზების ფორმა: მუშაობა მცირე ჯგუფებში; ჯგუფური პრეზენტაცია.

დამხმარე რესურსი: პროექტორი, ლეპტოპი, მინი პრეზენტაცია, ფორმატის დიდი ფურცლები თითოეული ჯგუფისთვის. მარკერები, კალმები, სტიკერები და რისკების ბარათები.

N2 აქტივობა: “დაზღვევის დეტექტივები”. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გაიცნონ დაზღვევის ტიპები (ჯანმრთელობის, ქონების, ავტომობილის, მოგზაურობის, მოსავლის და სხვ) და მათი საჭიროება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს ყოფს 3-4 დეტექტიურ ჯგუფად. ჯგუფებს ურიგებს წინასწარ გამზადებულ და კონვერტში მოთავსებულ **“საქმიან ფაილებს”**. თითოეულ ფაილში აღწერილია კონკრეტული სიტუაცია (მაგ: 1. გიორგი ავად გახდა და სჭირდება ძვირადღირებული მკურნალობა. 2. ნინოს ოჯახს მანქანა დაუზიანდა ავარიის გამო. 3. ელენე საზღვარგარეთ წავიდა და ბარგი დაუკარგეს. ილიას სიმინდის მოსავალს ჭია გაუჩნდა და სხვ). მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად. მათი მთავარი ამოცანაა, გაარკვიონ რა ტიპის დაზღვევა იქნებოდა საჭირო მათ ქეისში აღწერილი პრობლემის გადასაჭრელად. აქტივობის შემდეგ თითოეული ჯგუფი წარადგენს საკუთარ “დასკვნას” კლასის წინაშე.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური მუშაობა. საკლასო დისკუსია.
დამხმარე რესურსი: კონვერტები “საქმიანი ფაილების” აღსაწერად. სამუშაო ფურცლები.
მარკერები, კალმები.

V სესიის თემა: მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები.

N1 აქტივობა. „მომხმარებელთა სასამართლო“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ როგორ იცავს კანონი მომხმარებლის უფლებებს და როგორია მათი პასუხისმგებლობა.
აქტივობის აღწერა: მოსწავლეთა საკითხით დაინტერესებისთვის მასწავლებელი იყენებს მიდგომას: „ასოციაციური რუკა“, რისთვისაც დაფაზე გამოსახავს წრეს. წრეში წერს სიტყვას „მომხმარებელი“ და სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ, დაასახელონ ყველა ის სიტყვა, რომელიც აზრობრივად უკავშირდება და ასოცირდება სიტყვა „მომხმარებელთან“. მოსწავლეთა მოფიქრებული სიტყვებით ივსება წრე, რის შემდეგაც, მინი ლექციის სახით კლასს აცნობს მომხმარებელთა უფლებებს და პასუხისმგებლობებს. მომდევნო ეტაპზე კი, კლასს ჰყოფს სამ ჯგუფად: **მომხმარებლები, მომწოდებელი კომპანიები და სასამართლო/მასწავლებელი.** თითოეულ ჯგუფს ურიგებს სხვადასხვა სცენარს (მაგ: მოსწავლემ იყიდა ტელეფონი, რომელიც მეორე დღეს გაფუჭდა. მაღაზიამ არ დააბრუნა ფული, ან ონლაინ შეძენილი ნივთი არ ემთხვევა აღწერას). სცენარების მიხედვით, მომხმარებლები ამტკიცებენ საკუთარ უფლებებს, მომწოდებელი კომპანიები იცავენ თავს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. აქტივობის დასასრულს იმართება დისკუსია: მოსწავლეები მსჯელობენ რა სწორი ნაბიჯები გადადგეს, რაში დაუშვეს შეცდომები და როგორ იმოქმედებდნენ რეალურ ცხოვრებაში.

ხანგრძლივობა: 35-40 წთ

ორგანიზების ფორმა: როლური თამაში, ჯგუფური მუშაობა, მთელი კლასი.

დამხმარე რესურსი: დაფა,ცარცი.

N2 აქტივობა. „ვინ არის პასუხისმგებელი?“ აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ მომხმარებლებსაც აქვთ გარკვეული პასუხისმგებლობები(მაგ: საგარანტიო პირობების დაცვა, წესების წაკითხვა, ნივთის სწორად გამოყენება და სხვ).

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ამზადებს რამდენიმე სიტუაციურ სცენარს. მაგ:

1.მოსწავლემ იყიდა ლეპტოპი, რომელიც წყალში ჩაუვარდა.

2.მოსწავლემ იყიდა ველოსიპედი, რომელიც პირველივე კვირას გაფუჭდა დეტალის გამო.

3.მოსწავლემ იყიდა რძის ნაწარმი, რომელიც ვადაგასული აღმოჩნდა.

4. მოსწავლემ იყიდა მობილურის დამტენი, რომელიც არასწორად ჩართო და დაზიანდა.
5. მოსწავლემ ონლაინ იყიდა კინოს ბილეთი, მაგრამ ფილმის სეანსი გაუქმდა და ფული უკან არ დაუბრუნეს.
6. მოსწავლემ იყიდა მტვერსასრუტი, რომელიც გამოიყენა გარეთ, ქვიშაზე, რის გამოც მოწყობილობა გაფუჭდა.
მოსწავლეებს ევალებათ განიხილონ თითოეული სიტუაცია და იმსჯელონ, ვისია **პასუხისმგებლობა**- მომხმარებლის თუ გამყიდველის? დისკუსიას მასწავლებელი შორიდან ადევნებს თვალს. ბოლოს კი ერთვება დისკუსიაში და მოსწავლეებთან ერთად განიხილავს ყველა სიტუაციის სწორ ვარიანტს.
ხანგრძლივობა: 15-20 წთ
ორგანიზების ფორმა: დისკუსია მთელ კლასთან.
დამხმარე რესურსი: ლეპტოპი, პროექტორი. მინი პრეზენტაცია სიტუაციური სცენარების თვალსაჩინოებისთვის.

VI სესიის თემა: გონივრული სესხება და სესხის მართვა.

N1 აქტივობა. „მეგობრების ბანკი“. აქტივობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებმა გაიაზრონ სესხის აღებისა და დაბრუნების პროცესის არსი. ასევე, საკუთარი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.
აქტივობის აღწერა: აქტივობის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს მინი ლექციითა და წინასწარ მომზადებული პრეზენტაციით აცნობს: რა არის სესხი, რა მნიშვნელობა აქვს სესხის აღებას, როდის უნდა ავიღოთ სესხი, რა ტიპისა და დანიშნულების სესხები არსებობს (სამომხმარებლო, იპოთეკური, სასწავლო და სხვ). მინი ლექციის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ორ ჯგუფად: „**ბანკი**“ და „**მომხმარებლები**“. „**ბანკი**“ გასცემს სესხებს პატარა „ფინანსური ბარათების“ სახით (ფერადი ფურცლებისაგან დამზადებული იმიტირებული ფულის კუპიურები). „**მომხმარებლებს**“ მიეცემათ სხვადასხვა დავალებები. (მაგ: „გჭირდება 50ლ, რომ იყიდო სასწავლო წიგნი“; „გჭირდება 100ლ, რომ წახვიდე ექსკურსიაზე“ და სხვ). თითოეული მომხმარებელი სესხს იღებს ბანკიდან და უნდა დაგეგმოს, როგორ და როდის დააბრუნებს აღებულ სესხს. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აკეთებს ანალიზს: ვის გამოუვიდა პასუხისმგებლიანი სესხის მართვა და ვის დარჩა ვალი.
ხანგრძლივობა: 30-35 წთ
ორგანიზების ფორმა: როლური თამაში. ჯგუფური მუშაობა.

დამხმარე რესურსები: ლეპტოპი, პროექტორი, ფერადი ფურცლები იმიტირებული ფულის დასამზადებლად. მარკერები, კალმები, დაფა.

N2 აქტივობა. „პროცენტის ძალა“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ სესხის აღებისას პროცენტი ნიშნავს თანხის გაზრდას და, რომ ზედმეტი სესხი ზრდის რისკებს.

აქტივობის აღწერა: თავდაპირველად მასწავლებელი მთელ კლასს აცნობს მარტივ მაგალითს: „თუ აიღეთ 100ლარი სესხი და პროცენტი არის -10% ერთ თვეში, რამდენს გადაიხდით?“ კლასი ერთად განიხილავს ამოცანას და ანგარიშობენ. პროცენტის გაგების შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში და ხსნიან სხვადასხვა ამოცანებს, რომელსაც მასწავლებელი დაურიგებს წინასწარ გამზადებული ბარათების სახით.

1. სესხი 200ლ 5%-ით, 3 თვეზე.
2. სესხი 150ლ 15%-ით, 2 თვეზე.
3. სესხი 50ლ 20%-ით, 1 თვეზე და ა.შ.

წყვილები ანგარიშობენ და წარადგენენ პასუხებს კლასის წინაშე. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას: როდის არის სესხი „გონივრული“ და როდის- „მძიმე ტვირთი“.

ხანგრძლივობა: 30-35 წთ.

ორგანიზების ფორმა: მუშაობა წყვილებში, დისკუსია მთელ კლასში.

დამხმარე რესურსი: კალკულატორი/სმარტფონი, სამუშაო ფურცლები, კალმები.

N3 აქტივობა. „სესხის ბედი“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სესხის დაბრუნების პასუხისმგებლობა და შეუსრულებელი ვალდებულებების შესაძლო შედეგები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ გამზადებულ სიტუაციურ სცენარებს, რომელიც ბარათებზე წერია ურიგებს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს (3-4 მოსწავლე ჯგუფში). ყველა ბარათზე აღწერილია კონკრეტული შემთხვევა. მაგალითად:

1. აიღე სესხი 100ლარის ოდენობით, რომლის დაბრუნება დაგეგმილი გქონდა 2 თვეში, მაგრამ ფული შემოგეხარჯა და ვეღარ დააბრუნე.
2. აიღე სესხი 200ლარის ოდენობით, იშოვე დამატებითი შემოსავალი და სესხი დროულად დააბრუნე.
3. აიღე მცირე სესხი, მაგრამ პროცენტი არ გაითვალისწინე და დაგიგროვდა დიდი ვალი.
4. აირე გარკვეული ოდენობის სესხი, ნაწილ-ნაწილ დროულად აბრუნე, რითაც შენი ფინანსური რეპუტაცია იზრდება. და ა.შ.

მოსწავლეთა მცირე ჯგუფები მორიგეობით იღებენ ბარათებს, კითხულობენ სიტუაციას და ერთად მსჯელობენ:

- ✓ შესრულებული თუ შეუსრულებელი ვალდებულებაა კონკრეტული სიტუაცია?
- ✓ რა შედეგი მოყვება კონკრეტულ მაგალითს მსესხებელისთვის? (მაგ: ფინანსური რეპუტაცია, ნდობა, ვალის გაზრდა, სტრესი და სხვ).
- ✓ რაშია გამოსავალი? როგორია სწორი გადაწყვეტილება?

აქტივობის ბოლოს მასწავლებელი მინი ლექციის სახით შეაჯამებს სესხის აღებისა და მისი სწორად მართვის მნიშვნელობას.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმები: ჯგუფური, სიტუაციური თამაში, დისკუსია.

დამხმარე რესურსი: წინასწარ მომზადებული სიტუაციური ბარათები, დაფა, კალმები, სამუშაო ფურცლები.

VII სესიის თემა: ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პირობების ერთმანეთთან შედარება.

N1 აქტივობა. „ფინანსური პროდუქტების გამოფენა“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის პირობების შედარება და საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველაზე გონივრული არჩევანის გაკეთება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მინი ლექციითა და წინასწარ მომზადებული პრეზენტაციის დახმარებით კლასს აცნობს ძირითად ფინანსურ პროდუქტებს, მათ მნიშვნელობას და დანიშნულებას. შემდეგ კლასში აწყობს „გამოფენას“ – მაგიდეზე დებს ბარათებს სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის შესახებ (მაგ: სესხი, ანაბარი, საკრედიტო ბარათი, დაზღვევა და სხვ). თითოეულ ბარათზე აღწერილია პროდუქტის ძირითადი პირობები: პროცენტი, ვადა, დამატებითი სარგებელი ან რისკი. მოსწავლეები ჯგუფებად დადიან „გამოფენაზე“ და იწერენ მათთვის ყველაზე საინტერესო ვარიანტებს. ყველა ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება (მაგ: „იპოვეთ ყველაზე მომგებიანი ანაბარი“, „აირჩიეთ საუკეთესო სესხი მოკლევადიანი საჭიროებისთვის“ და ა.შ). აქტივობის ბოლოს ჯგუფები საკუთარ არგუმენტირებულ არჩევანს გააცნობენ კლასს და ხსნიან, რატომ, რის საფუძველზე აირჩიეს ესა თუ ის კონკრეტული პროდუქტი.

ხანგრძლივობა: 30 წთ

	ორგანიზების ფორმები: ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია. დამხმარე რესურსი: მაგიდები, წინასწარ მომზადებული ფინანსური პროდუქტების ბარათები, სამუშაო ფურცლები, კალმები. ლეპტოპი, პროექტორი. N2 აქტივობა. „ვინ უფრო გონივრულად აირჩია?“ აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ ინფორმაციის მოძიების და შედარების მნიშვნელობა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს (3-4 მოსწავლე ჯგუფში) აძლევს 2-3 ალტერნატიულ წინადადებას ერთი და იმავე პროდუქტის შესახებ (მაგ: 1. სესხი დაბალი პროცენტით, მაგრამ დაგვიანებისას მაღალი ჯარიმით; 2. სესხი მაღალი პროცენტით, მაგრამ მოქნილი პირობებით). მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ვარიანტია უკეთესი კონკრეტული პირობებისთვის. აქტივობის ბოლოს იმართება დისკუსია: რატომ არის საჭირო ინფორმაციის მოძიება რამდენიმე წყაროდან და შედარება? (სურვილისამებრ, შესაძლებელია მოცემული აქტივობა პატარა კონკურსადაც ჩამოყალიბდეს: რომელი ჯგუფი უფრო გონივრულად შეარჩევს პროდუქტს). ხანგრძლივობა: 25 წთ ორგანიზების ფორმები: ჯგუფური მუშაობა, დისკუსია. დამხმარე რესურსი: წინასწარ მომზადებული ფურცლები სხვადასხვა პირობებით. N3 აქტივობა. „ფინანსური დეტექტივები“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა კრიტიკული აზროვნებით ისწავლონ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და შედარება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს ჰყოფს „დეტექტივებად“. თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება: მოიძიონ ინფორმაცია კონკრეტული ფინანსური პროდუქტის(მაგ: ანაბარი, სესხი, საკრედიტო ბარათი, ყულაბა, ანაბარი,) შესახებ. მასწავლებელი სთავაზობს მათ რეალური/სიმულაციური მონაცემებით პატარა ბროშურებს ან წინასწარ გამზადებულ ინტერნეტ-სტატიების ამონარიდებს. ჯგუფები „ამოწმებენ“ პირობებს, აფიქსირებენ დადებით და უარყოფით მხარეებს. ბოლოს შეადგენენ „დეტექტივის ანგარიშს“, სადაც წარმოაჩენენ რომელი პროდუქტია უფრო მომგებიანი კონკრეტულ სიტუაციაში და რატომ. აქტივობას მასწავლებელი დაასრულებს მოკლე შეჯამებით. ხანგრძლივობა: 25-30 წთ ორგანიზების ფორმები: ჯგუფური კვლევა, პრეზენტაცია. დამხმარე რესურსი: ბეჭდური ბროშურები/ონლაინ მასალები, სამუშაო ფურცლები, კალმები, ლეპტოპები თითოეული ჯგუფისთვის.
--	--

VIII სესიის თემა: ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები.

N1 აქტივობა. “ბანკების ბაზარი-ვირტუალური გამოფენა”. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გაიგონ, რა ტიპის ფინანსური ორგანიზაციები არსებობს (მაგ: ბანკები, მიკროსაფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ) და რა პროდუქტებს სთავაზობენ ისინი მომხმარებელს.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასში აწყობს იმიტირებულ “გამოფენას”. კლასს ჰყოფს ჯგუფებად (ჯგუფში 4-5 მოსწავლე). თითოეულ ჯგუფს ეძლევა ერთი, კონკრეტული ფინანსური ორგანიზაცია (მაგ: ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია). ჯგუფები ამზადებენ პლაკატებს, პოსტერებს ან აწყობს პატარა პრეზენტაციას, სადაც წარმოადგენენ მათი ორგანიზაციის ძირითად სერვისებს და პროდუქტებს. შემდეგ ტარდება „გამოფენა“: თითოეული ჯგუფი სხვა მოსწავლეებს გააცნობს საკუთარ კუთხეს. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები აფასებენ, რომელი „ორგანიზაციის“ მომსახურება მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ.

ხანგრძლივობა: 45-60 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური, პრეზენტაცია.

დამხმარე რესურსი: სამუშაო ფურცლები, მარკერები, კალმები, ლეპტოპი, პროექტორი, დიდი ფორმატის ქაღალდები.

N2 აქტივობა. “ფინანსური პროდუქტების აუქციონი”. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის უპირატესობები და შეზღუდვები, გაიუმჯობესონ კრიტიკული აზროვნება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ატარებს იმიტირებულ „აუქციონს“. მოსწავლეებს წინასწარ ეძლევათ „ვირტუალური ფული“ (მაგ: ქაღალდის „ვალუტა“). მასწავლებელი იწყებს ფინანსური პროდუქტების „გაყიდვას“ (მაგ: ანაბარი -5% იანი წლიური სარგებლით; საკრედიტო ბარათი ქეშბეკით; მოკლევადიანი სესხი; სამოგზაურო დაზღვევა და სხვ). თითოეული პროდუქტის მოკლე აღწერის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, ღირს თუ არა მისი „შემენა“. ისინი აუქციონში მონაწილეობენ და აუქციონის წესების შესაბამისად, სთავაზობენ ფულს ამა თუ იმ პროდუქტის შესაძენად. გამარჯვებული „ყიდულობს“ პროდუქტს და შემდეგ ვალდებულია განმარტოს, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

ხანგრძლივობა: 30-35 წთ

ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალური.

დამხმარე რესურსი: “ვირტუალური ფულისთვის” მუყაოს ფერადი ფურცლები, წინასწარ მომზადებული პროდუქტების აღწერის ბარათები, დაფა და ცარცი ქულების/შენამენების აღსანიშნავად.

IX სესიის თემა: ფინანსური უსაფრთხოება და ფინანსური რისკები.

N1 აქტივობა. „უსაფრთხო პაროლის მრჩეველი“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ როგორ იცავს ძლიერი პაროლი ფინანსურ მონაცემებს/პირად ანგარიშებს და ისწავლონ ძლიერი პაროლის შექმნის ძირითადი წესები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი პროექტორის დახმარებით მოსწავლეებს წარუდგენს ძლიერი და სუსტი პაროლის მაგალითებს:

- სუსტი პაროლი: „123456“, „password“, „giorgi2008“
- ძლიერი პაროლი: „G!o2025\$Bank“, „Finance@Safe#24“.

მოსწავლეებს ეძლევათ დრო ფიქრისთვის, მოიყვანონ არგუმენტები-რატომ არის პირველი პაროლის გატეხვა ადვილი და მეორე პაროლის რთული. მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი კლასს ყოფს 3-4 კაციან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი აძლევს დავალებას: შეადგინონ „ძლიერი პაროლის წესები“. მაგალითად:

- მინიმუმ 8-12 სიმბოლო.
- ასოების, სიმბოლოებისა და რიცხვების გამოყენება.
- არ უნდა იყოს მარტივად მისახვედრი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი).
- პერიოდულად არ უნდა მეორდებოდეს მსგავსი სიმბოლოები/ასოები/რიცხვები.

აქტივობის ფარგლებში ყველა ჯგუფი წარადგენს საკუთარ “ძლიერი პაროლის წესებს”, რის შემდეგაც მასწავლებელი შეადგენს “პაროლების წესების კოდექსს”, რომელსაც მოსწავლეები გადაიტანენ ფორმატზე და კლასში თვალსჩინო ადგილას განათავსებენ. აქტივობის ბოლოს თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად ქმნის თავის “სუპერ პაროლს” და განმარტავს, რატომ არის ის ძლიერი.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმები: მთელი კლასი, ინდივიდუალური, ჯგუფური.

დამხმარე რესურსი: პროექტორი, სამუშაო ფურცლები, დაფა, კალმები.

N2 აქტივობა. „ფიშინგი თუ ნამდვილი“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ თაღლითური შეტყობინებების ამოცნობა.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ამზადებს რამდენიმე მაგალითს მინი პრეზენტაციის სახით, სადაც წარმოდგენილია ნამდვილი ბანკის შეტყობინებებისა და „ფიშინგის“ სცენარები. მოსწავლეები მცირე ჯგუფებში მსჯელობენ, რომელი სცენარია ნამდვილი და რომელი-ყალბი. ჯგუფებს მოყავთ არგუმენტები რატომ ფიქრობენ ასე. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი მთელ კლასთან ერთად ადგენს „ფიშინგის“ ამოცნობის წესებს.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფური.

დამხმარე რესურსი: ლეპტოპი, პროექტორი, სამუშაო ფურცლები, კალმები.

N3 აქტივობა. „რისკის ბარათები“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ სხვადასხვა ფინანსური რისკი და მისი მართვის გზები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ბარათებს სხვადასხვა სიტუაციით. მაგ:

- „სესხი მაღალი პროცენტით“.
- „ინვესტიცია უცნობ კომპანიაში“.
- „ფულის შენახვა სახლში“.
- „ბანკში დანაზოგი დაზღვევით“ და ა.შ.

მოსწავლეები იღებენ ბარათებს და მსჯელობენ: კონკრეტულ სიტუაციაში არის თუ არა ფინანსური რისკი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს აღნიშნულ რისკს და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება.

ხანგრძლივობა: 30-35 წთ

ორგანიზების ფორმა: როლური თამაში, დისკუსია.

დამხმარე რესურსი: სიტუაციების ამსახველი ბარათები, დაფა.

X სესიის თემა: ფინანსური თაღლითობისაგან თავის დაცვის საშუალებები.

N1 აქტივობა. „თაღლითობის მახე“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ ყველაზე გავრცელებული ფინანსური თაღლითობის სახეების ამოცნობა და მათგან თავის დაღწევის გზები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ამზადებს სცენარების ბარათებს, მაგალითად:

- მოგივიდა SMS: “თქვენ მოიგეთ iPhone! მოგებული ნივთის მისაღებად გადმორიცხეთ 10 ლარი...”
- ზარი თითქოს ბანკიდან: “თქვენს ანგარიშზე საექვო ოპერაციაა, გთხოვთ, მოგვწეროთ თქვენი პაროლი.”
- Facebook-დან მოგივიდა შეტყობინება უცნობი ადამიანისგან: დამეხმარე და ფულს უკან დაგიბრუნებ ორმაგად.“ და ა.შ.

მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ ბარათს და ჯგუფში მსჯელობენ:

- რატომ არის ეს თაღლითობა?
- როგორ უნდა მოიქცეს ასეთ სიტუაციაში მომხმარებელი?

ბოლოს ჯგუფებში აჯამებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს და ერთობლივად ქმნიან „თაღლითობისაგან დაცვის წესებს“.

ხანგრძლივობა: 30 წთ

ორგანიზების ფორმა: როლური თამაში, ჯგუფური დისკუსია.

დამხმარე რესურსი: ბარათები სცენარებით, ფლიბჩარტები/დაფა.

N2 აქტივობა. „ფინანსური Sherlock-ები“. აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა საკუთარ დაკვირვებასა და ანალიტიკურ უნარებზე დაყრდნობით ისწავლონ თაღლითური და უსაფრთხო ფინანსური შეთავაზებების გარჩევა.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ამზადებს 6–8 „რეკლამას“ (ნაწილი არის ნამდვილი საბანკო პროდუქტი, ნაწილი – ყალბი შეთავაზება). მოსწავლეთა მცირე ჯგუფები ირგებენ დეტექტივების როლს და აფასებენ თითოეულს შემდეგნაირად:

- რატომ არის ის სანდო?
- რა ხდის მას სანდოს?
- რომელი ნიშნები მიუთითებენ მის არასანდოობაზე?

ბოლოს ჯგუფები აწყობენ პრეზენტაციას და ასაბუთებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.

ხანგრძლივობა: 25-30 წთ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური, როლური

დამხმარე რესურსი: პროექტორი, ლეპტოპი/ბეჭდური მასალები. კალმები, სამუშაო ფურცლები.

	N3 აქტივობა: „Stop-თაღლითობა!“ (ვიდეო კამპანია). აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ თანატოლებისთვის მოკლე, გასაგები გზავნილებით ფინანსური თაღლითობის საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები იყოფიან მცირე (3-4 მოსწავლე ჯგუფში) გუნდებად. თითოეულ გუნდს ეძლევა დავალება: მოიფიქრონ 1-2 წუთიანი ვიდეო/პოსტერი, რომელიც პასუხობს კითხვას: „როგორ დავიცვათ თავი თაღლითობისგან?“. გუნდები თვითონ ირჩევენ წარდგენის ფორმას: ეს შეიძლება იყოს მოკლე მხატვრული დადგმა, მოკლე ვიდეო-სლოგანი ან ილუსტრირებული პოსტერი. მოსწავლეთა გუნდები მორიგეობით წარადგენენ შექმნილ ნამუშევრებს. ბოლოს კი, ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას საუკეთესო ნამუშევრი შესახებ.
ფინანსური განათლების საკითხ(ებ)ი, რომელსაც დაფარავს პროექტი	აღნიშნული პროექტი დაფარავს ფინანსური განათლების ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: 1. ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება-პირადი და ოჯახის ფინანსების მართვა. კერძოდ: • პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა. • ფული და გადახდები. • დანაზოგი და ინვესტიციები. • დაზღვევის საკითხები. 2. მომხმარებლის რისკების შემცირება-ფინანსურ სექტორთან პასუხისმგებლიანი ურთიერთობა. კერძოდ: • მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები. • გონივრული სესხება და სესხის მართვა. • ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პირობების ერთმანეთთან შედარება. • ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები. • ფინანსური უსაფრთხოება და ფინანსური რისკები. • ფინანსური თაღლითობისაგან თავის დაცვის საშუალებები.
პროექტის განხორციელების სავარაუდო/მიზნობრივი შედეგები	სავარაუდო/მიზნობრივი შედეგები, რომელიც განხორციელებული პროექტის დასრულებისას დადგება, არის შემდეგი: • მოსწავლეები გააცნობიერებენ ფულის გამოყენების მიზანსა და მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. • ჩამოუყალიბდებათ პასუხისმგებლობა ფულის ეფექტურად ხარჯვისა და დაგროვების შესახებ.

	• გაიცნობენ საბანკო პროდუქტებს(ანაბარი/სესხი/საბანკო ბარათები/დეპოზიტი/ინვესტიცია/დაზღვევა) და ეცოდინებათ მათი გამოყენების წესები. • განუვითარდებათ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების საბაზისო უნარები. • გაცნობიერებენ მომხმარებელთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. • გაიცნობენ სესხებისა და ბიუჯეტის მართვის პრინციპებს, ისწავლიან ფინანსური პროდუქტების შედარების მეთოდებს. • განივითარებენ გონივრული სესხებისა და პირადი/ოჯახის ბიუჯეტის მართვის უნარს. • გაეცნობიან და გაიაზრებენ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების შეფასების ტექნიკებს. • შეძლებენ ფინანსური თაღლითობის ამოცნობას და რიკებისაგან თავის დაცვას. • გაცნობიერებენ ციფრული საფრთხეების არსებობას და უსაფრთხოების წესებს. • განუვითარებათ საჯაროდ გამოსვლისა და პრეზენტირების უნარები, შეძლებენ მიღებული ცოდნის გადატანას ყოველდღიურ ცხოვრებაში. • შეძლებენ ფინანსებზე საუბარს და დაეუფლებიან პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. • პროექტის შედეგად მოსწავლეების მიერ შექმნილი ვიზუალური პოსტერები, რუკები, ინფოგრაფიკები დარჩება სკოლაში, როგორც საგანმანათლებლო რესურსი. ხოლო პროექტის შედეგად შექმნილი მასალები და მიდგომები გახდება მუდმივი რესურსი სხვა კლასებისთვისაც, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური განათლების გავრცელებას.
გთხოვთ, დაასაბუთოთ, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი პროექტი მოსწავლეებისთვის და/ან სტუდენტებისთვის საინტერესო და ეფექტური იქნება?	პროექტის მთავარი მიზანია ახალგაზრდების ფინანსური განათლების გაღრმავება იმ ასაკში, როცა მათთან მუშაობა ყველაზე ეფექტური იქნება. საშუალო საფეხურის მოსწავლეები(15–18 წლის ასაკში) იმ ფაზაში არიან, როდესაც იწყებენ პირველ, დამოუკიდებელ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, მაგალითად: საკუთარი ჯიბის ფულის მართვა, ონლაინ-შემძენების განხორციელება, მცირე დანაზოგის დაგროვება. სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ის უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მათ მომავალ ფინანსურ კეთილდღეობაზე. ჩვენი პროექტი ძირითადად გათვლილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის(მე-10, მე-11, მე-12 კლასები), რადგან ვფიქრობთ, რომ მოსწავლეებისაგან განსხვავებით, სტუდენტები უკვე რეალური ფინანსური გამოწვევების წინაშე დგანან — სწავლის გადასახადი, საცხოვრებელი სახლის ქირა, სტუდენტური სესხები, საკრედიტო

ვალდებულებები და ა.შ ამ შემთხვევაში ფინანსური განათლება ხშირად გვიანდება და საჭირო ხდება პრობლემის შემდეგ მისი გადაჭრა. მიგვაჩნია, რომ უფროსკლასელებთან მუშაობა არის ერთ-ერთი, ის პრევენციული ნაბიჯი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თავიდან აირიდონ მსგავსი შეცდომები და უკვე ცოდნით შეიარაღებულნი შეხვდნენ სტუდენტურ და შემდგომ პროფესიულ ცხოვრებას.

სკოლა, როგორც უნივერსალური საგანმანათლებლო სივრცე, საუკეთესო გარემოს ქმნის პროექტის განსახორციელებისთვის. აქ შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მოსწავლის ჩართვა და ცოდნის თანატოლებში გავრცელება, რაც ამლიერებს პროექტის სოციალურ ეფექტს. უფროსკლასელებისთვის ფინანსური განათლების გაკვეთილები და პრაქტიკული აქტივობები შეიძლება ინტეგრირდეს არსებული სასკოლო საგნებში — მათემატიკაში, სამოქალაქო განათლებაში, ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფს მდგრადობასა და სასკოლო პროგრამასთან ინტეგრირებას. გარდა ამისა, მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები ქმნის მნიშვნელოვან გარემოებას: მათ ძლიერი სოციალური გავლენა აქვთ ერთმანეთზე. ფინანსური ცოდნის მიღების შემდეგ, ისინი არა მხოლოდ საკუთარ ცხოვრებაში გამოიყენებენ ამ ცოდნას, არამედ თანატოლებსა და ოჯახის წევრებსაც გაუზიარებენ. შედეგად, პროექტი ქმნის ჯაჭვურ ეფექტს და გაცილებით ფართო საზოგადოებრივ გავლენას.

თანამედროვე პედაგოგიკაში აღიარებულია, რომ აქტიური და პრაქტიკულ სწავლებაზე დამყარებული მიდგომები მნიშვნელოვნად ზრდის და ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას. ჩვენს პროექტში გამოყენებული სიმულაციები, როლური თამაშები და ჯგუფური/ინდივიდუალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მიზანმიმართულად შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებასა და კონკრეტულ სიტუაციებში. ასეთი მიდგომა კი, ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარების განვითარებას, რაც სასწავლო პროცესს ერთმნიშვნელოვნად უფრო საინტერესოს და პროდუქტიულს ხდის.

პროექტის თემები მოიცავს ფინანსურ გადაწყვეტილებებს, სესხებს, ბიუჯეტის დაგეგმვას, რისკებს და ფინანსურ უსაფრთხოებას, რაც უშუალოდ ეხება მოსწავლეების ყოველდღიურობას. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ გონივრული სწავლის შედეგები მაღალია, როცა შესასწავლი მასალა დაკავშირებულია მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებასთან. შედეგად, პროექტი უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოსწავლეებში მოტივაციის



	ამაღლებას.ამასთან, ფინანსური პასუხისმგებლობის და რისკების მართვის უნარების განვითარება ხელს შეუწყობს მიმოსწავლეებში ფინანსური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, რაც გაზრდის მათი მომავალი ფინანსური გადაწყვეტილებების სანდოობას. პროექტში გამოყენებული მიდგომები საჭიროებს მოსწავლეების ჯგუფურ ინტერაქციას, თანამშრომლობას, არგუმენტირებულ დისკუსიას და კოლაბორაციულ უნარებს, რაც მოსწავლეებში 21-ე საუკუნის თანამედროვე უნარების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ჯგუფური აქტივობები ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი კულტურის აქტუალიზებას და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას.
--	--